

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

**საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017
წლის 31 დეკემბერს**

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	8
სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	9

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
4. შემოსავალი	19
5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	20
6. სხვა შემოსავალი, წმინდა	20
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	20
8. კომერციული ხარჯები.....	21
9. წმინდა მოგება საკუთარ სხვაობიდან.....	21
10. ძირითადი საშუალებები	21
11. მარაგები.....	22
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	22
15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	23
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
17. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	27
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები	27

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ომეგას“ მეწილეებს და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ომეგას“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში კომპანია), რომელიც შედგება სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ომეგას“ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ჩატარებული მარაგების ინვენტარიზაციას, რადგანაც კომპანიის აუდიტორებად დავინიშნეთ აღნიშნული თარიღის შემდგომ 2018 წლის 22 მარტს. კომპანიის სააღრიცხვო სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული საშუალებითაც ვერ მოვახერხეთ ზემოთ მოცემულ თარიღებში არსებული მარაგების რაოდენობის შესახებ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებში და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებში.

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობები ამ სტანდარტის შესაბამისად აღწერილია აუდიტორთა პასუხისმგებლობების აბზაცში. ჩვენ შევასრულეთ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი ეთიკის მოთხოვნები და ვართ დამოუკიდებელნი კომპანიისგან.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოების ამსახველი აბზაცი

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მიზნით, რომ მენეჯმენტმა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთი მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 ივლისი 2018 წელი

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017
შემოსავალი	4	51,729,850
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(42,228,391)
საერთო მოგება		9,501,459
სხვა შემოსავალი, წმინდა	6	523,683
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(940,117)
კომერციული ხარჯები	8	(4,093,343)
საოპერაციო მოგება		4,991,682
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		(78,880)
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან	9	43,964
მოგება დაბეგრამდე		4,956,766
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა მოგება		4,956,766
სხვა სრული შემოსავალი		-
სრული შემოსავალი		4,956,766

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 30 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი _____ ს. აბულაძე

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2017	01.01.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	290,592	302,010
არამატერიალური აქტივები		5,151	7,120
სულ გრძელვადიანი აქტივები		295,743	309,130
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	16,007,590	13,350,592
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	4,169,780	3,260,647
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	5,612,882	4,809,265
სულ მიმდინარე აქტივები		25,790,252	21,420,504
სულ აქტივები		26,085,995	21,729,634
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		1,398	1,398
გაუნაწილებელი მოგება		21,345,347	17,464,243
სულ საკუთარი კაპიტალი		21,346,745	17,465,641
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	4,739,250	4,263,993
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,739,250	4,263,993
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		26,085,995	21,729,634

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2016	1,398	17,464,243	17,465,641
გაცემული დივიდენდი	-	(1,075,662)	(1,075,662)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	4,956,766	4,956,766
31 დეკემბერი 2017	1,398	21,345,347	21,346,745

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	შენიშვნა	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე		4,956,766
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		98,763
მარაგების გაუფასურება		76,317
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		78,880
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან		1,238
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან	9	(88,312)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		5,123,652
სამუშაო კაპიტალის ცვლილება		
მარაგების ზრდა		(2,733,315)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,412,436)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,083,524
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		2,061,425
გადახდილი პროცენტები		(78,880)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,982,545
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(94,591)
ძირითადი საშუალებების გასვლა		7,979
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(86,612)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების დაფარვა		(7,027,072)
სესხების მიღება		7,054,766
გადახდილი დივიდენდი		(1,075,662)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,047,968)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		847,965
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	4,809,265
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	9	(44,348)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	5,612,882

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ომეგა" (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1996 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზირი №11, თბილისი, საქართველო. კომპანია ახორციელებს საბითუმო და საცალო ვაჭრობას ელექტრონული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით.

კაპიტალის წილების პროცენტული ფლობა 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წილის მფლობელები	31.12.2017	01.01.2017
ირინა გუდავაძე	50%	50%
გრიგორი გუდავაძე	50%	50%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 მომზადების საფუძველი

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მიზნით, რომ მენეჯმენტმა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ფასს-ებზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ მოუმზადია ფინანსური ანგარიშგება რაიმე მოთხოვნების შესაბამისად.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტმა გამოიყენა სააღრიცხვო პოლიტიკა, რის საფუძველზეც იქნება მომზადებული ფასს-ების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი იყენებს სტანდარტების და ინტერპრეტაციების საუკეთესო ცოდნას, ახალი სტანდარტები, დამატებები და ინტერპრეტაციები არ გამორიცხავს, რომ ფასს-ების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე და გამოქვეყნებამდე შესწორდეს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფასს-ებზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი, შესაბამისად სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ამ თარიღის წინა შესადარისი ინფორმაცია. შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს ფასს-ების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

2.2 ახალი ფას-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ პერიოდში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიაზე ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან:

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოიღო შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულო ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე დანერგვა. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 15-ის გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები:

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო

ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარება წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 - იჯარა:

ფასს 16 იჯარა ჩანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ბასს 16 „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღრიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
კომპიუტერი, ავეჯი და სხვა ოფისის მოწყობილობა	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება ძირითადად სააღრიცხვო პროგრამისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულებები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(ბ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

- (ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:
 - (i) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
 - (ii) თავდაპირველი აღირებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან
 - (iii) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).
- (ბ) თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიას ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:
 - (i) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, კომპანიას უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:
 - ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან

(ii) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:

- იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შეუსაბამოებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამოებს“ უწოდებენ), რაც სხვა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
- ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველზე მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის ფარგლებში, კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(დ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

- იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;
- თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2.7 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულებით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

2.10 საგარანტო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

2.11 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

2.12 საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

კომპანია როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

2.13 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.14 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ბ) საგარანტიო ანარიცხები

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახდენს ძირითადად 6 თვიდან 3 წლამდე საგარანტიო მომსახურების პირობით. პროდუქციის რეალიზაციისთანავე კომპანია განიხილავს საგარანტიო ანარიცხის მიმდინარე ვალდებულებად აღიარებას.

ანარიცხის დასათვლელად კომპანია იყენებს წარსულ გამოცდილებას გაყიდვებისა და გაწეული საგარანტიო ხარჯების სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების გზით.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით.

გ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. შემოსავალი

შემოსავალი 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
მაცივარი	11,963,802
ტელევიზორი	10,288,306
გათბობა-კონდიციონერები	7,989,898
სარეცხი მანქანა	5,504,959
გაზქურა	3,567,316
მობილური ტელეფონი	3,483,227
წვრილმანი საყოფაცხოვრებო ტექნიკა	2,766,088
ჩასაშენებელი ტექნიკა	2,717,157
კომპიუტერები	2,572,411
სხვა	876,686
სულ	51,729,850

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
მაცივარი	(9,997,450)
ტელევიზორი	(8,369,379)
გათბობა-კონდიციონერები	(6,358,294)
სარეცხი მანქანა	(4,649,247)
გაზქურა	(2,943,608)
მობილური ტელეფონი	(3,108,316)
წვრილმანი საყოფაცხოვრებო ტექნიკა	(1,942,139)
ჩასაშენებელი ტექნიკა	(1,987,190)
კომპიუტერები	(2,213,590)
სხვა	(659,178)
სულ	(42,228,391)

6. სხვა შემოსავალი, წმინდა

სხვა შემოსავალი, წმინდა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
სხვა შემოსავალი	
მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსები	223,431
შემოსავალი ქვეიჯარიდან	249,913
სხვა შემოსავალი	51,577
სულ სხვა შემოსავლები	524,921
სხვა ხარჯი	
ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული ზარალი	(1,238)
სულ სხვა ხარჯი	(1,238)
სულ სხვა შემოსავალი, წმინდა	523,683

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
შრომის ანაზღაურება	(507,342)
საკონსულტაციო ხარჯი	(148,977)
იჯარის ხარჯი	(78,516)
გაუფასურებული მარაგების ჩამოწერა	(76,317)
მივლინება	(28,284)
ცვეთა და ამორტიზაცია	(10,350)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(7,609)
საკანცელარიო ხარჯი	(5,842)
სხვა ხარჯი	(76,880)
სულ	(940,117)

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

8. კომერციული ხარჯები

მიწოდების ხარჯები 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
იჯარის ხარჯი	(2,363,076)
შრომის ანაზღაურება	(1,010,349)
რეკლამის ხარჯი	(257,333)
კომუნალური ხარჯი	(90,856)
საწვავის ხარჯი	(90,441)
ცვეთა და ამორტიზაცია	(88,413)
მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯი	(52,219)
კომუნიკაციის ხარჯი	(23,301)
დაცვის ხარჯი	(14,132)
სხვა ხარჯი	(103,223)
სულ	(4,093,343)

9. წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან

წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(44,348)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	88,312
სულ	43,964

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტ ო საშუალებები	კომპიუტერი, ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	119,795	192,449	164,076	476,320
შემოსვლა	22,264	52,308	20,020	94,592
გასვლა	-	(24,855)	-	(24,855)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	142,059	219,902	184,096	546,057
დაგროვილი ცვეთა				
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(44,176)	(75,841)	(54,293)	(174,310)
2017 წლის ცვეთა	(25,488)	(36,637)	(34,668)	(96,793)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	15,638	-	15,638
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(69,664)	(96,840)	(88,961)	(255,465)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
01.01.2017	75,619	116,608	109,783	302,010
31.12.2017	72,395	123,062	95,135	290,592

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

11. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
მაცივარი	2,672,010	4,903,231
ტელევიზორი	3,440,035	367,610
გათბობა-კონდიციონერა	2,011,561	1,039,970
გაზქურა	1,690,251	1,324,522
სარეცხი მანქანა	1,408,479	2,677,672
ჩასაშენებელი ტექნიკა	1,358,535	913,033
წვრილმანი საყოფაცხოვრებო ტექნიკა	1,116,631	1,000,900
კომპიუტერები	1,036,614	496,686
მობილური ტელეფონი	602,251	294,647
სხვა	671,223	332,321
სულ	16,007,590	13,350,592

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,199,059	791,455
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,199,059	791,455
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	2,970,721	2,469,192
სულ არაფინანსური მოთხოვნები	2,970,721	2,469,192
სულ მოთხოვნები	4,169,780	3,260,647

კომპანიის მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 15.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	01.01.2017
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	5,471,889	4,542,336
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	105,019	236,593
ფული სალაროში	35,974	30,336
სულ	5,612,882	4,809,265

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-15 შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31.12.2017	01.01.2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	4,527,601	3,947,076
სხვა	211,649	316,917
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,739,250	4,263,993
სულ ვალდებულებები	4,739,250	4,263,993

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 15.

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2017	1.01.2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,199,059	791,455
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,612,882	4,809,265
ფინანსური აქტივები სულ	6,811,941	5,600,720
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,739,250	4,263,993
ფინანსური ვალდებულებები სულ	4,739,250	4,263,993

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს,

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, მიღებული სესხები - მე-2 დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვის მიდგომა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის შიდა აუდიტორები დამატებით მიმოიხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესებს და წარუდგენენ კომპანიის მენეჯმენტს თავის მოსაზრებას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

- **საპროცენტო რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	31.12.2017
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,576,908	35,240	734	5,612,882
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,198,643	-	416	1,199,059
სულ ფინანსური აქტივები	6,775,551	35,240	1,150	6,811,941
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,043,879	2,673,418	21,953	4,739,250
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,043,879	2,673,418	21,953	4,739,250
ღია სავალუტო პოზიცია	4,731,672	(2,638,178)	(20,803)	

	ლარი	დოლარი	ევრო	1.01.2017
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,778,929	30,270	65	4,809,265
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	791,038	-	417	791,455
სულ ფინანსური აქტივები	5,569,967	30,270	482	5,600,720
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,695,707	2,391,965	176,321	4,263,993
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,695,707	2,391,965	176,321	4,263,993
ღია სავალუტო პოზიცია	3,874,260	(2,361,695)	(175,839)	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დოლარის ეფექტი 2017		ევროს ეფექტი 2017	
მოგება/(ზარალი)	ლარი/დოლარი	ლარი/დოლარი	ლარი/ევრო	ლარი/ევრო
	(527,081)	527,081	(4,161)	4,161

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანიას არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარი)

15. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცემის სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2017	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	5,612,882	-	-	5,612,882
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,199,059	-	-	1,199,059
სულ ფინანსური აქტივები	6,811,941	-	-	6,811,941
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,739,250	-	-	4,739,250
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,739,250	-	-	4,739,250

01.01.2017	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,809,265	-	-	4,809,265
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	791,455	-	-	791,455
სულ ფინანსური აქტივები	5,600,720	-	-	5,600,720
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,263,993	-	-	4,263,993
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,263,993	-	-	4,263,993

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბრის

(ლარი)

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

საიჯარო ხარჯი
დამფუძნებელი

2017

(119,881)

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2017

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება:
მოკლევადიანი გასამრჯელო

(105,210)

17. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

იურიდიული საკითხები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.


საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 2018 წლის 12 თებერვალს კომპანიამ დამფუძნებლებზე გასცა 2,526,700 ლარის ოდენობის დივიდენდი.

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვემდებარებოდნენ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.



ივანე ჟუჟუნაშვილი
შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
30 ივლისი 2018 წელი

შპს ომეგა

სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2017
შემოსავალი	4	51,729,850
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(42,228,391)
საერთო მოგება		9,501,459
სხვა შემოსავალი, წმინდა	6	523,683
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(940,117)
კომერციული ხარჯები	8	(4,093,343)
საოპერაციო მოგება		4,991,682
საპროცენტო ხარჯი, წმინდა		(78,880)
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან	9	43,964
მოგება დაბეგვრამდე		4,956,766
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა მოგება		4,956,766
სხვა სრული შემოსავალი		-
სრული შემოსავალი		4,956,766

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 30 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



ნ. გაბუნია

მთავარი ბუღალტერი



ს. აბულაძე

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ომეგა“

მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ომეგას“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 30 ივლისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

28 სექტემბერი, 2018

შპს ომეგა

შპს ომეგა (შემდგომში კომპანია) ბაზარზე წარმოდგენილია მეგატექნიკის მაღაზიათა ქსელის სახით, რომელიც 22 წელია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოში საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. კომპანიის პირველი მაღაზია 1996 წელს გაიხსნა თბილისში. მას შემდეგ ორგანიზაცია სტაბილურად ვითარდებოდა, იზრდებოდა და დღესდღეობით 140-მდე თანამშრომელს ასაქმებს.

კომპანია დაკავებულია საცალო და საბითუმო ვაჭრობით. მეგატექნიკა ყიდის საყოფაცხოვრებო და კომპიუტერულ ტექნიკას. კომპანია ცდილობს მომხმარებელს შესთავაზოს პროდუქტის დიდი არჩევანი სხვადასხვა საფასო სეგმენტში.

კომპანიის საცალო ქსელი მოიცავს 10 მაღაზიას თბილისში, რუსთავეში, ქუთაისში და ბათუმში. ასევე კომპანიას აქვს 3 საწყობი სტრატეგიულ ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში და ბათუმში.

კომპანია ახდენს ისეთი მსოფლიო ბრენდების ტექნიკის რეალიზაციას, როგორიცაა Hisense, Hoover, Philips, Sony, Lenovo, Asus, Samsung, Huawei, HP, Dell და სხვა

სარჩევი

მმართველობის ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია.....	4
2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები	4
3. 2017 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა.....	5
4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	6
5. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა.....	7
6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა	7

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია ბოლო წლების მანძილზე სტაბილურად იზრდება, რაც მენეჯმენტის სწორი სტრატეგიული და ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგია. კომპანია ფინანსდება საკუთარი და მოზიდული დაფინანსების წყაროებით. აქვს შეუბღალავი საკრედიტო ისტორია.

კომპანია მართავს ვებ გვერდს www.megatechnica.ge, რომელიც განაახლა 2017 წლის ბოლოს. ვებ გვერდზე სრულად არის წარმოდგენილი ყველა პროდუქტი ფასებით და მომხმარებელს აქვს საშუალება ბარათით და ონლაინ კრედიტით შეიძინოს ნივთი. მომავალში კომპანიას დაგეგმილი აქვს გაყვეს თანამედროვე ტრენდს ელექტრონული ვაჭრობის განვითარების მიმართულებით და მომხმარებელს შესთავაზოს როგორც დამატებითი ყიდვის საშუალებები, ასევე უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველი ინფორმაცია.

კომპანიას დასაქმებული ყავს 140 ადამიანი. მენეჯმენტის აზრით დასაქმებულთა დენადობა დაბალია, თუმცა იმის გამო, რომ არ არსებობს საშუალო ინდუსტრიული მონაცემები, არც დასაქმების და არც ფინანსური კოეფიციენტების მიმართულებით, ზუსტად კომპანიის პოზიციონირება გართულებულია.

კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი, რომლის ათვისება/დაფარვაც პროდუქტების სეზონურობაზეა დამოკიდებული. კომპანიას ისტორიულად ლიკვიდურობის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალი აქვს და მომავალშიც ეცდება რომ ამ მიმართულებით საფრთხეები თავიდან იყოს აცილებული. ეს მიიღწევა სწორი ფინანსური და ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ასევე სწორი დაგეგმვისა და პროგნოზების კეთებით.

2017 წელს მოხდა მაღაზიების გაფართოება. გლდანის ფილიალი შეიცვალა უფრო დიდი ფორმატის მაღაზიით, ასევე ქუთაისში ერთ-ერთი მაღაზია შეიცვალა ასევე უფრო დიდი ფორმატის მაღაზიით, რამაც გაზარდა ამ მაღაზიების შემოსავლები.

კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს მომხმარებელთან ქცევის წესებს და არსებული 10 მაღაზიის თანამშრომლებისთვის პერიოდულად ატარებს ტრენინგებს ქცევის და პროდუქტის ცოდნის მიმართულებით.

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები


კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობა რელევანტურად მიიჩნევს საქმიანობის შედეგების შემდეგი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების განხილვას.

წმინდა მოგება (მილიონი ლარი)		საოპერაციო შემოსავალი	
2017	4.95	2017	51.70
უკუგება საშუალო კაპიტალზე		უკუგება საშუალო აქტივებზე	
2017	26%	2017	21%
მთლიანი აქტივები (მილიონი ლარი)		ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა	
2017	26.10	2017	90.50%

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი დღეებში

2017	138
------	-----

2. ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები (გაგრძელება)



ფინანსური მაჩვენებლების განსაზღვრება

უკუგება საშუალო კაპიტალზე: აქციონერების კუთვნილი მოგება შეფარდებული კაპიტალის 2016 და 2017 წლების საშუალო მაჩვენებელზე.

უკუგება საშუალო აქტივებზე: წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალის 2016 და 2017 წლების მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე.

მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი: მარაგების ნაშთი წლის ბოლოს გაყოფილი წლის რეალიზებული პროდუქციის თვითრიგებულებაზე და გამრავლებული 365დღეზე.

მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები გაყოფილი მიმდინარე ვალდებულებებზე.

ხარჯების შემოსავალთან თანაფარდობა: პერიოდის მთლიანი საოპერაციო ხარჯებს, შეფარდებულს იმავე პერიოდის მთლიან საოპერაციო შემოსავლებთან.

3. 2017 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

ხარჯვით ნაწილში, ყველაზე დიდი ხარჯი იჯარის ხარჯია, და შემდეგ სახელფასო ხარჯი. ფაქტიურად ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯვითი ნაწილის 79%-ს იჯარა და ხელფასები შეადგენს. მომავალში ეს ტენდენცია შენარჩუნდება, რადგან საცალო ბიზნესისთვის იჯარა და ხელფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

შემოსავლების ნაწილში, თეთრი ტექნიკის რეალიზაციიდან შემოსავლები შეადგენს მთლიანი რეალიზაციის 41%.

ლ '000	2017
სულ შემოსავალი	51,729
შემოსავალი თეთრი ტექნიკიდან (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა)	21,036
თეთრი ტექნიკის წილი მთლიან რეალიზაციაში	41%

მომავალში ეს პროპორცია შეიცვლება იმის ხარჯზე, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების გაძლიერება კომპანიის მთავარი სტრატეგიული გზაა შემოდგომი წლების რეალიზაციის გაზრდის მიმართულებით.

კომპანიას არ ევალებოდა და არ მოუზადებია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება. გამომდინარე იქედან, რომ იგი არაა შესაძარისი 2017

3. 2017 წლის ფინანსური შედეგების მიმოხილვა (გაგრძელება)

წლის მონაცემებთან და არ გვადლევს ინფორმაციას კომპანიის განვითარების, საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად, საქმიანობის მაჩვენებლები წარმოდგენილია მხოლოდ 2017 წლისთვის.

4. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

4.1 რისკის აღწერა

გარე ფაქტორებით გამოწვეულია რისკი, რაც მდგომარეობს შემდეგში: 2017 წელს ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციებით შეიზღუდა სამომხმარებლო სესხების (განვადებები) გაცემა, რამაც უკვე იქონია უარყოფითი გავლენა. ამ მიზნით მოვიზიდეთ უფრო მეტი მიკროსაფინანსო ინსტიტუტები განვადების კუთხით, თუმცა მომავალი წლიდან ეს რისკი უფრო მძაფრი გახდება, რადგან მიკროსაფინანსოებსაც შეეხება აღნიშნული შეზღუდვა.

რისკის განეიტრალება

უფრო მეტ ფინანსურ ინსტიტუტთან თანამშრომლობა განვადების მიმართულებით მეტად ხელსაყრელი იქნება კომპანიის მდგრადობისთვის. კომპანია ახორციელებს კიდევ უფრო მეტი ფინანსური ინსტიტუტის მოზიდვას და კომპანია მუდმივად მუშაობს, რათა პროდუქტის ფასი იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ნაღდი ანგარიშსწორებისთვის.

4.2 ფინანსური რისკები

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია 2017 წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

კომპანიას აქვს სამომავლო განვითარების სამწლიანი გეგმა. რომელიც გულისხმობს გაყიდვების სტაბილურ ზრდას. ზრდის მიღწევა მოხდება პროდუქტების მიხედვით პოზიციების განსაზღვრით. იმ პროდუქტში, სადაც კომპანიას უკვე საკმაოდ დიდი წილი აქვს, ეს ეხება თეთრ პროდუქტს (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა და სხვა) შეინარჩუნოს პოზიციები, ხოლო ე.წ. შავი და აიტი ტექნიკის მიმართულებით კი გააძლიეროს. პოზიციების

შენარჩუნება მოხდება მომხმარებლების განახლებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ენერგოეფექტური პროდუქტებზე აქცენტის გაკეთებას. ეს არის A, A+, A++ და A+++ ენერგომომხმარების ახალი პროდუქტის შეთავაზება მომხმარებლისთვის.

რაც შეეხება სუსტი პოზიციების გაძლიერების კუთხით. ითვალისწინებს რა თანამედროვე ტრენდს სმარტ ტექნოლოგიების მიმართულებით, კომპანია აპირებს დამატებით ბრენდების მოძიებას და პროდუქტის ნაირსახეობის გაზრდას. ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და საერთაშორისო გამოფენებზე ყოველწლიურად ხდება არსებულ და პოტენციურ მომწოდებლებთან მუშაობა.

მომავალ წლებში კომპანია პროგნოზირებს ზრდას. პროგნოზი დამყარებულია იმ მოლოდინზე რომ ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება და ასევე გაიზრდება მოსახლეობის ხარჯვითი ნაწილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის მიმართულებით, რადგან ახალ ტექნოლოგიებთან ერთად გარკვეული სახეობის პროდუქტის გამოცვლაზე იქნებიან მიმართული.

კომპანია ზრდის მაღაზიის ფორმატებს, თუმცა სამომავლოდ არ აპირებს ძალიან განსხვავებულად დიდ ფორმატზე გადასვლას, რადგან ითვალისწინებს ევროპული ბაზრის გამოცდილებას, სადაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები ძალიან დიდი ფორმატიდან ისევ ვიწროვდებიან ხარჯების შემცირების მიზნით.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიისთვის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ნ. გაბუნია

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

შპს „ომეგას“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე 2018 წლის 30 ივლისს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ არ არის ჩვენ მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე, მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს“ სახელით

28 სექტემბერი, 2018

5. სტრატეგია და სამომავლო განვითარების მიმოხილვა

კომპანიას აქვს სამომავლო განვითარების სამწლიანი გეგმა. რომელიც გულისხმობს გაყიდვების სტაბილურ ზრდას. ზრდის მიღწევა მოხდება პროდუქტების მიხედვით პოზიციების განსაზღვრით. იმ პროდუქტში, სადაც კომპანიას უკვე საკმაოდ დიდი წილი აქვს, ეს ეხება თეთრ პროდუქტს (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა და სხვა) შეინარჩუნოს პოზიციები, ხოლო ე.წ. შავი და აიტი ტექნიკის მიმართულებით კი გააძლიეროს. პოზიციების

შენარჩუნება მოხდება მომხმარებლების განახლებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ენერგოეფექტური პროდუქტებზე აქცენტის გაკეთებას. ეს არის A, A+, A++ და A+++ ენერგომომხმარების ახალი პროდუქტის შეთავაზება მომხმარებლისთვის.

რაც შეეხება სუსტი პოზიციების გაძლიერების კუთხით. ითვალისწინებს რა თანამედროვე ტრენდს სმარტ ტექნოლოგიების მიმართულებით, კომპანია აპირებს დამატებით ბრენდების მოძიებას და პროდუქტის ნაირსახეობის გაზრდას. ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს და საერთაშორისო გამოფენებზე ყოველწლიურად ხდება არსებულ და პოტენციურ მომწოდებლებთან მუშაობა.

მომავალ წლებში კომპანია პროგნოზირებს ზრდას. პროგნოზი დამყარებულია იმ მოლოდინზე რომ ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება და ასევე გაიზრდება მოსახლეობის ხარჯვითი ნაწილი საყოფაცხოვრებო ტექნიკის მიმართულებით, რადგან ახალ ტექნოლოგიებთან ერთად გარკვეული სახეობის პროდუქციის გამოცვლაზე იქნებიან მიმართული.


კომპანია ზრდის მაღაზიის ფორმატებს, თუმცა სამომავლოდ არ აპირებს ძალიან განსხვავებულად დიდ ფორმატზე გადასვლას, რადგან ითვალისწინებს ევროპული ბაზრის გამოცდილებას, სადაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები ძალიან დიდი ფორმატიდან ისევ ვიწროვდებიან ხარჯების შემცირების მიზნით.

6. სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

კომპანიისთვის აღნიშნული ნაწილი არ არის რელევანტური.

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ნ. გაბუნია